

ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “ხელშეკრულების”) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების 13.1.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.1.1. SMS სერვისის არის დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლის საშუალებითაც კლიენტის მიერ ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით ექნება საშუალება: მიიღოს ინფორმაცია საკუთარ საბანკო ანგარიშებზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, მოითხოვოს და მიიღოს საჭირო საბანკო ინფორმაცია ან განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით დადასტურების მეშვეობით, შეასრულოს გარკვეული ტიპის საბანკო ოპერაციები ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების და წესების შესაბამისად, მიიღოს ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის დადასტურება (ბანკის მიერ დადგენილი წესების / მოთხოვნების გათვალისწინებით), ასევე დაადასტუროს ბანკში არსებული მისი პერსონალური მონაცემების ცვლილება.

2. შეიცვალოს ხელშეკრულების 13.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.3. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით საბანკო ოპერაციების დადასტურებას და/ან ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის SMS-ის საშუალებით (SMS-ით ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებულ ბმულზე განთავსებული ხელშეკრულების) დადასტურებას, გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქალაქში დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული, საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ საბანკო ოპერაციების კლიენტის მიერ SMS კოდით და/ან ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის SMS-ის საშუალებით (SMS-ით ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებულ ბმულზე განთავსებული ხელშეკრულების) დადასტურების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

“ხელშეკრულების” 8.7 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ცვლილება ძალაში შედის ინფორმაციის ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებისთანავე.